საქართველოს მთავრობის განკარგულება

№958 2016 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში საავტომობილო გზების გაუმჯობესების პროექტების მომზადებისა და განხორციელების დაფინანსების მიზნით, ევროპის საინვესტიციო ბანკთან შესაბამისი ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით კონსულტაციების დაწყების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია, საქართველოს რეგიონებში საავტომობილო გზების გაუმჯობესების პროექტების მომზადებისა და განხორციელების დაფინანსების მიზნით, ევროპის საინვესტიციო ბანკთან შესაბამისი ჩარჩო ხელშეკრულების (250 მლნ ევრო) დადებასთან დაკავშირებით კონსულტაციების დაწყების შესახებ.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიმართოს ევროპის საინვესტიციო ბანკს:

ა) საქართველოს რეგიონებში საავტომობილო გზების გაუმჯობესების პროექტების მომზადებისა და განხორციელების დაფინანსების მიზნით, შესაბამისი ჩარჩო ხელშეკრულების (250 მლნ ევრო) დადების შესახებ;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში, საჩხერე-რაჭის დამაკავშირებელი და საირმე-აბასთუმნის საავტომობილო გზების პროექტების მომზადებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაფინანსების შესახებ;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში, სვანეთთან დამაკავშირებელი გზის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დაფინანსების შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**